ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან. ჩეხოვიდან

ლათვი

კომ.-ვოდევილი ერთ მოქმედებათ

რუსულიდან გადმოკეთებული

გრ. ვოლსკის მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომქმედნი პირნი:

ირინე ზაალის ასული, ახალგაზდა ქვრივი, შემოსილია მძიმე შავებით.

პაატა ლეგანის ძე გვრიტიშვილი, შუახნის კაცი, მემამულე, აცვია სამგზავრო ტანისამოსი.

ზაზა, ირინეს მსახური, მოხუცი გლეხი, გლეხური ტანისამოსი აცვია.

სასტუმრო დარბაზი ფერაძის სახლში სოფლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათვი

სცენა: გემოიანად მოწყობილი ოთახი: აწყვია სკამები, მაგიდა, სავარძელი და სხვა მისთანა მოწყობილება. ოთახს აქვს ორი კარი და ფანჯარა.

გამოსვლა პირველი

ფერაძისა და ზაზა

ფერაძისა (გაშტერებით ჩასტქერის ფოტოგრაფიულს სურათს, თვალს არ აშორებს).

ზაზა (შორი-ახლო დგას) არა, არ ვარგა, ქალბატონო, თქვენ ნუ მომიკვდებით... მხოლოდ თავს იხდენთ მაგით... გოგო და ბიჭი ყველა ტყეში წავიდა სოკო-მარწყვის საკრეფად, ყველა სულდგმული ხარობს. კატა რა არის, იმანაც კი იცის თავის ქეიფი: დასეირნობს ბანზე, ბლარტებს იჭერს,—თქვენ კი დამჯდახართ მთელი დღე ოთახში, თითქო მონასტერიაო, და აღარაფერს სიამოვნებას არ იკარებთ... დიაღ აგერ საცაა წელიწადი შესრულდება, რაც თქვენ სახლიდან გარეთ არ გამოსულხართ...

ფერაძისა (თვალტრემლიანი) არც გამოვალ ჩემს დღეში, რისთვისა? ჩემი სიცოცხლე გათავდა... ის წევს სამარეში, მე ოთხ კედელშუა დავიმარხე თავი... ჩვენ ორივე მკვდრები ვართ.

ზაზა ნუ მეტყვით მაგას, შენი ჭირიმე! ნეტავი არ გამაგონო! განსვენებული ბატონი რომ მიიცვალა,

სჩანს ღვთის ნება ყოფილა... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!.. იწუხეთ, იგლოვეთ და კმარა, გეყოფათ, ბატონო... ჩემმა მტერმა სთქოს მთელი თავისი სიცოცხლე გლოვა-ტირილი?.. მეც მომიკვდა, როცა მისმა ჟამმა მოახწია, ჩემი საწყალობელი მაკრინე... მაგრამ თან არ გადავყოლივარ... ვიწუხე, ვიტირე ერთი თვე და კმარა, თვარა ჩემი სიცოცხლე რომ ცრემლი ვღვარო, არც მაკრინე ყოფილა ბატონო იმისი ფასი... (ამოიოხრებს) მეზობელი ყველა დაგავიწყდათ... ალარც თითონ მიბძანდებით სადმე, ალარც სხვას იღებთ სტუმრადა. ვსცხოვრობთ, ნურას უკაცრავათ ვიქნებით, ობობასავით, ამ წუთი სოფლისა ალარაფერი გვეყურება და საგარეო ტანისამოსიც თაგვებმა დაგიჭამეს. კიდევ ჰო, რიგიანი და პატიოსანი ხალხი არ იყოს, თვარა მაზრა სულ სავსეა თავადითა და აზნაურითა. ზემო იფნისში ჯარი სდგას. აფიცრებია ისეთი, რომ სულ ხოხობივით ახატულ-ჩამოხატული! თვალი ვერ მოგიშორებია! ლაგერში კიდევ ყოველ პარასკევს ბალებია გაჩაღებული და სამხედრო მუსიკას ხომ თითქმის ყოველ დღე გააქვს გრიალი. ეჰ, ქალბატონო, ცოდვაა მე ნუ მოგიკვდე, რომ თქვენისთანა ახალგაზდა, ლამაზი, სწორეთ რძე და ღვინოს რომ იტყვიან, ისეთი ქალი არ დასტკბეს და არ გაიხაროს... სილამაზე ხომ საუკუნოდ არავის შერჩება, წარმავალია, გაივლის ერთი ორიოდ წელიწადი, მერე ეგება თითონაც მოინდომოთ ყელ-მოღერებულ შველივით გავლა-გამოვლა, თავის მოწონება, მაგრამ გვიანლა იქნება!

ფერაძისა (გადწყვეტილის კიდოთი) მეორედ არ გამიბედო მაგნაირი ლაპარაკი! ხომ იცი, რომ მას აქეთ, რაც ჩემი ნიკო მომიკვდა, სიცოცხლემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალში ყოველივე ფასი... (სურათს აცქერდება, თვალ-ცრემლიანი) შენ გგონია, რომ ცოცხალი ვარ? ჩემი სიცოცხლე სიცოცხლე აღარ არის... ფიცი მივეცი ჩემს თავს, რომ სამარემდის არ გავიხადო შავები და არ დავენახო თვალით ქვეყანას... გესმის? დეე! იმისმა არჩდილმა მნახოს, თუ როგორ მიყვარდა მე იგი... დიაღ, ვიცი, შენთვის დაფარული ოოდია, რომ ის ხშირად უსამართლოდ მექცეოდა, სისტიკად... მღალატობდა კიდეც, მაგრამ სამარემდის მე იმისი ერთგული ვიქნები და დავუმტკიცებ, თუ რა სიყვარული მცოდნია... იქ, საიქიოს პირნათლად შევხვდები, რა პირნათლადაც ვიყავი სიკვდილამდის.

ზაზა. მაგისთანა ლაპარაკის მაგიერ, მე და ჩემმა ღმერთმა, ბევრად ემჯობინებოდა, ბაღში წასულიყავით, ქალბატონო, სასეირნოთ, ან და გებრძანებიათ ლურჯას შეკაზმვა და წაბრძანებულიყავით სტუმრადა მეზობლებში... ჰო, ღმერთმანი!

ფერაძისა. უი! (ტირის).

ზაზა. ჯვარი აქაურობას!

ფერაძისა. როგორ უყვარდა საწყალს ჩემი ლურჯა. ყოველთვის იმას შეაკაზმინებდა ხოლმე... რა უცხო ცხენოსანი იყო! რა გვარად შვენოდა ახოვანი ტანადობა... გახსოვს?. ლურჯა, ჩემი ლურჯა!... უბრძანე დღეს მეტი ქერი აჭამონ.

ზაზა. ბატონი ბრძანდებით. (ისმის წკარუნი)

ფერაძ. (შეკრთება შეშინებული) ვინ არის? უთხარი, არავის ვინახულებ თქო.

ზაზა ბატონი ბრძანდებით. (კაჟა)

*) წინა გვერდის 279 მაგიერ უნდა იყოს 280 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეორე

ფერაძისა მარტო

ფერაძისა. (დასტქერის სურათს) აი, ნახავ, ჩემო ნიკო, თუ როგორ მცოდნია სიყვარულიცა და შენდობაც... ჩემი სიყვარული გაჰქრება ჩემთან ერთად. (ჩამოდის ტრემდი, თან სურათს შესტქერის და იტინის) არც კი გრცხვენია, შე საძაგელო შენა... მღალატობდი ხოლმე, მთელი კვირაობით მტოვებდი მარტოკას... (შემოდის ზაზა)

გამოსვლა მესამე

ფერაძისა და ზაზა

ზაზა. (ადშფოთებით) ქალბატონო, იქ ვიღაც გკითხულობთ, თქვენი ნახვა ჰსურს.

ფერაძისა. ხომ გითხარი, რომ მას დღეს აქეთ, რაც ქმარი მამიკვდა, არავის ვინახულებ-თქო!

ზაზა. ვუთხარი, მაგრამ ვინ გაიგონა! ძალიან საქმე მაქვსო.

ფერაძისა. არ ვინახულებ მეთქი!

ზაზა. ვუთხარ, შე დალოცვილო, მაგრამ... ვიღაც ქაჯია, დალახვროს ღმერთმა!... ილანძღება და შემოვარდა პირდა-პირ აგერ მეორე ოთახში.

ფერაძისა. (განაწყენებით) კარგი, სთხოვე მობრძანდეს... რა უზრდელები არიან!... (ზაზა გადის) ნეტა რა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემგან? (ხმამაღლა) არა, ვატყობ, რომ მართლაც უნდა წავიდე მონასტერში .. (ჩაფიქრდება) დიაღ, მონასტერში...

გამოსვლა მეოთხე

ფერაძისა, გვრიტიშვილი და ზაზა

გვრიტიშვილი. (შემოდის და ზაზას) ტუტუცო, ბევრს ნუ ყბედობ... ქოფაკო!... (რა დაინახავს ფერაძისას, დირსეულად) გთხოვთ, მიცნობდეთ, ბატონო, აზნაური პაატა ლევანის ძე გვრიტიშვილი გახლავარ. უნდა შეგაწუხოთ, ერთის მეტად მძიმე საქმის გამო.

ფერაძისა. (ხელს არ აძლევს) რა გნებავთ?

გვრიტიაშვილი. თქვენს განსვენებულს ქმარს, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდი, დარჩა ჩემი ორის ვექსილით ას ოცი თუმანი ვალი. და, რადგანაც ხვალ სარგებელი უნდა შევიტანო ჩვენს საადგილმამულო ბანკში, ამიტომ გთხოვთ, მოწყალეო ბატონო, დღესვე გადამიხადოთ ვალი.

ფერაძისა. ას ოცი თუმანი!... ნეტა რად დაგესესხათ ჩემი ქმარი ფულს?

გვრიტიშვილი. მშვენიერი საყანო ადგილი მიეყიდე: ახლა შიგ თქვენი მოწონებული პური და ქერი სთესია.

ფერაძისა. (ხმამაღლით ზაზას) მართლა, არ დაგავიწყდეს, ზაზა, რომ დღეს მეტი ქერი აჭამონ ლურჯას. (გვრიტიშვილს) თუ კი ჩემს ნიკოს მართებია თქვენი ვალი, რაღა თქმა უნდა, გადავიხდი. მაგრამ, უკაცრავად, დღეს არ მეგულება შინ მაგდენი ფული ზეგ დაბრუნდება ქალაქიდან ჩემი მოურავი და მაშინვე გაახლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა კი არ შემიძლიან და ვერ აგისრულებთ სურვილს... მერე ამასთანავე დღეს შესრულდა სწორედ შვიდი თვე, რაც ქმარი მომიკვდა, და ისეთს გუნებაზე ვარ, რომ სრულებით არა მაქვს ანგარიშის თავი.

გვრიტიშვილი. მეც ისეთ გუნებაზე გახლავარ, რომ თუ ხვალვე არ შევიტანე სარგებელი, დავიღუპები ძირიან-ფესვიანათ: მამულს გამიყიდიან!

ფერაძისა. აკი მოგახსენეთ, ზეგ მიიღებთ მეთქი თქვენს ფულს.

გვრიტიშვილი. ზეგ კი არა, დღეს მიჭირს ფული.

ფერაძისა. უკაცრად, დღეს არ შემიძლიან, ვერ მოგცემთ ვალს.

გვრიტიშვილი. მეც არ შემიძლიან, ვერ მოგიცდით ზეგამდის.

ფერაძისა. რა ვქნა ახლა, თუ კი არა მაქვს ამ წუთში?

გვრიტიშვილი. აბა მაშ ვერ გადამიხდით ვალს?

ფერაძისა. ვერა.

გვრიტიშვილი. ჰმ... ეგ თქვენი უკანასკნელი სიტყვა გახლავსთ?

ფერაძისა. დიაღ უკანასკნელი.

გვრიტიშვილი უკანასკნელი? გადაწყვეტილს ბრძანებთ?

ფერაძისა. გადაწყვეტილს მოგახსენებთ.

გვრიტიშვილი. ძალიან მადლობელი ვარ, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისეთი. (იწევს მაღლა მხრებს) კიდევ იმას მეუბნებიან, რატომ გულმშვიდი არა ხარო! ეი წელან გზაზე შემომხვდა ჩვენი ბოქაული და მეკითხება: „რათა ხარო, პავლე, ყოველთვის გულსწრაფიო?“ აბა ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, რომ არ გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყარე, მა რა ჯანაბა ვქნა? მოდი და ნუ გასწყრები, თქვენი ჭირიმე! ფული მეჭირება ისე, რომ თავი დასაკლავად არ მეზოგება. გუშინ დილას, ირაჟრაჟა თუ არა, გამოვსწიე შინიდან, შემოვიარე ყველა, ვისაც კი ჩემი ფული ჰმართებს და, იმ მამა-ოხერს ერთს მაინც მოეცა თავისი ვალი! გავწვალდი ძაღლივით; ღამე გავათენე —ღმერთმა დააქციოს იმისი ოჯახი!—ვიღაცა კარაპეტას დუქანში ბოსლის გვერდით, მთელი ღამე ვირის ყროყინმა არ მომასვენა, ერთი ცვარი არ დამაძინა... ბოლოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოვაწიე, როგორც იქნა აქ, ჩემი სახლიდან ორმოც ვერსის მაძინლზე და, ვსთქვი, იმედია, აქ მაინც ავიღებ ფულს, და ახლა იმას მეუბნებიან; რომ, უკაცრავად, სამაგისო გუნებაზედ არავარო! მოდი და ნუ გასწყრები, თქვენი ჭირიმე!

ფერაძისა. მგონია, ცხადათ გითხარით: მოურავი დაბრუნდება მეთქი ქალაქიდან და მაშინ მოგვართმევთ.

გვრიტაშვილი. მე თქვენ მოურავს როდი ვხლებივარ, თქვენთან გიახელით.. ნურას უკაცროვად ამ სიტყვებისათვის, ჯანაბამდის გზა ჰქონია ის ვიღაც თქვენი მოურავია!

ფერ. მოწყალეო ხელმწიფევ, უმორჩილესათ გთხოვთ თავი დაანებოთ მაგგვარ წინ-დაუხედავ ლაპარაკის კილოს.. ალარა მსურს მოგისმინოთ! (გადის საჩქაროდ)

გვრ. (მარტო) არა, ერთი ვერა ხედავთ! გუნებაზე არა ვარო! შვიდი თვეაო, რაც ქმარი მომიკვდაო! ერთი ეს მიბრძანეთ, უნდა შევიტანო ხვალ თუ არა, ის ოხერი სარგებელი! გეკითხებით, ბატონო, უნდა შევიტანო მეთქი ხვალ სარგებელი, თუ არა? ჰო, კარგი, ვსთქვათ ქმარი მოგიკვდათ, გუნებაზე ვერა ხართ და კიდევ სხვა რალაც ფოკუსები... მოურავი წავიდაო სადღაც, ეშმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კმა იცის იმისი თავი და ტანი!... მაგრამ მე რა ვქნა? ერთი მიბრძანეთ? ჰაერში ავფრინდე და გავიქცე, თავი ქვას ვახალო, ვერ გამიგია, ღმერთმანი!... მივედი კალმახაძესთან,—შინ არ ბრძანდებაო, კვიციაშვილი დამემალა, ცერაძე ისე შემომელანძღა, რომ სამტროდ გადამეკიდა და ცოტა დამაკლდა, კინალამ, ფანჯრიდან გადავაგდე ძირს, გვიჯამაძეს მუცელი ასტკივდა, არ ააყენოს ჩემმა გამჩენმა! ეს კიდევ გუნებაზე არა ვარო! ყველა ისე გაწუწკებულა, რომ, შენც არ მომიკვდე, ერთიც არ ფიქრობს ფულის გადახდას!... სულ კი იმის ბრალია, რომ მეტის მეტად გულ-გრილად ვექცევი მევალეს. დამჯაბნეს გლახა-ლედაბერივით... მართლა გლახა კი ვარ, ერთი რალაც უბადრუკი და ლაჩარი!.. არც მეტის-მეტი თავაზი ვარგებულა!... აბა ერთი დამაცადეთ! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, დაგიბრთხობთ ანგელოზებს, თუ ბიჭი ვარ! ღმერთო მომკალი! როგორ მასხარად ამიგდეს! დავრჩები აქა და ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ გადამიხდის! დედა, დედა, რა გულზე ვარ დღეს! შენი ჭირიმე, რა გულზე!... ცოცხლად გადავყლაპავ ადამიანს!!... ისე გამაბოროტეს, რომ სუყველა ძარღვი და სახსარი მიკანკალებს და მეფუშება!.. ოჰ, ღმერთო ჩემო, გულიც კი მეყრება. (ჭეჭვირის) ბიჭო, (ზაზა შემოდის)

გამოსვლა მეხუთე

გურიტაშვილი და ზაზა

ზაზა რა გინდათ?

გურ. წყალი მომიტანე! (ზაზა გადის) არა, როგორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგწონთ ასეთი ქცევა? კაცს ფული მეჭირება ისე, რომ თავი დასაკლავად არ მეზოგება... საცაა თავი უნდა დავიღრჩო და ის კი არ იხდის იმიტომ, რომ გუნებაზე არა ვარო... ეხლა არ მეანგარიშებაო!.. სწორეთ რომ დედაკაცის ჭკუა და მოსაზრებაა, ჩემს მზესა ვფიცავ! მიტომაც მძულს და მძულდა დედაკაცთან ლაპარაკი. ქაჯი რომ შემხვდეს -- ის მირჩევნიან დედაკაცთან ლაპარაკსა! ღმერთო, რა გულზედა ვარ! სულ ერუანტელი მივლის ტანში — ისე გამაგულისა ამ პრანჭია ქვრივმა!... დავინახამ თუ არა ქალსა—სული მეხუთება ხოლმე, აი დალახროს ღმერთმა იმისი სახსენებელი!...

ზაზა (შემოდის და წყალს მიაწოდებს) ქალბატონი შეუძლოთ გახლავს და არავის იღებს სტუმრად.

გრაქ. დაიკარგე იქით! (ზაზა გადის) შეუძლოთ გახლავს და არავის იღებს სტუმრად! არაფერი საჭიროა თუ არ მიმიღებ... დავრჩები აქა და ვიქნები, სანამ არ მომცემ ფულებს... ერთ კვირას იქნები შეუძლოთ— მეც ერთი კვირა დავრჩები; შენ ერთს წელიწადს დარჩები ავათ—მეც ერთ წელიწადს დავრჩები აქ და ვიქნები, სანამ არ მომცემ ჩემს ფულს.. მე ჩემსას გავიტან, ბატონო, ფიქრი ნუ გაქვს! შენც არ მომიკვდე მე ვერ მომილობო გული შენის შავებითა და აპრუწულის ტუჩებითა. ეიცი რა შვილიც ბრძანდება მაგისთანა ტუჩები?... (თავის ბიჭს უყვირის ფანჯარიდამ) ბიჭო, ეფრემ! მოხადე ცხენს უნაგირი! აქედამ მალე ვეღარ წავალთ, აქ ვრჩებით!... უთხარი, რომ აჭამონ და მოუარონ ცხენს! ის რაა, შე წუწკო, შენა, სად მიგიბამს ხურჯინი!... (ბიჭის ხმით) არაფერია, (თვის ხმით) მე შენ გაჩვენებ არაფერია!... (მოერიდება ფანჯარას) რა საძაგლობაა... უშველებელი სიცხე, ფულს არავინ იძლევა, წუხელის სულ

არ მძინებია და აქ კიდევ ეს პრანჭია ქვრივი და იმისი უქმეიფობა... ოჰ, თავი მტკივა!... იქნება ღვინომ მარგოს ცოტათი... მოღი დავლიო... (ჭეშვირის) ეი, ვინა ხარ მანდა!

ზაზა (შემოდის) რა გნებავთ?

გვრიტ. ღვინო მომიტანე! (ზაზა გაკვირებით შეხედავს, მერე მხრებს აიწევს და გავა) უჰ!... (დაჯდება და ათვალიერ-ჩათვალიერებს თავის თავს) კაი შენ ცხვირს მოუვიდეს, პაატავ, კაი სანახავი შენ იყო! სულ ერთიანად გამტვრიანებული, წაღები ტალახში მოსვრილი, პირ-დაუბანელი, თავ-დაუვარცხნელი, ჩოხაზე თივა მაყრია, ვაი თუ ყაჩაღი ვეგონე იმ საპატარძლო ქვრივს!... (ამთქნარებს) ცოტა არ იყოს უზდელობა კია, რომ ასე მორთულ-მოკმაზული ეწვიოს კაცი სხვას, მაგრამ, არაფერი უშავს... სტუმარად ხომ არ მოვსულვარ, ვალის მისაღებათ მისვლა და მორთვა არ გამიგონია!

ზაზა (შემოდის და მიართმევს დვინოს) მეტის მეტად იქცევით, ბატონო.

გვრიტ. (გაჯავრებით—შეჭეშვირებს) რაო?!

ზაზა (შეშინებული უკან დაიხევს) მე... არაფერი... მე... ოღონდ ისე...

გვრიტ. ვის უბედავ მაგას?! ხმა, კრინტი-მეთქი!

ზაზა (იქით) ე რა ქაჯი გადამეკიდა, ღმერთო, ჩემო!... რა ეშმაკმა მოათრია? (გადის)

გვრიტ. აი რა გულზე ვარ!... ისეთ გულზე ვარ, რომ მგონია ვეშაპს გადავყლაპავდი ცოცხლად. გულიც კი მიღონდება... (ჭეშვირის) ბიჭო! (შემოდის ფერაძისა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეექვსე

გვრიტიშვილი და ფერაძისა

ფერ. მოწყალეო ბატონო, ჩემს მარტოობაში კაი ხანია, გადავეჩვიე ადამიანის ხმას და ვერ ამიტანია ყვირილი, გთხოვთ, რომ ერთი მომასვენოთ!

გვრიტ. გადამიხადეთ ჩემი ვალი და წავალ.

ფერ. ქართულად მოგახსენეთ, რომ ეხლა არა მაქვს მეთქი ხელად ფული, მადროვეთ ზეგამდისინ.

გვრიტ. მეც ქართულად მოგახსენებთ, რომ ფული ზეგ კი არა, დღეს მიჭირს მეთქი, თუ დღეს ვერ გადამიხადეთ ვალი, ხვალ მეტი ადარაფერი დამრჩენია, თავი უნდა დავიღრჩო...

ფერაძ. რა ვქნა, თუ კი არ მაქვს? ახირებულია თქვენმა ბზეემ.

გვრიტ. მაშ ახლავე არ იძლევით ფულს? არა?

ფერაძ. არ შემიძლიან...

გვრიტ. რახან აგრეა, მეც აქა ვრჩები, და სანამ ჩემსას არ მომცემთ, ფეხს არ მოვიცვლი... (ჯდება) გადამიხდით, ძალიან კარგი--მეც ზეგამდინ მოვიცდი... დავჯდები ასე და ვიქნები... ველარაფერი შემძრავს... (წამოხტება) არა, მე თქვენ გკითხავთ, ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, უნდა შევიტანო ხვალ ბანკში თუ არა, ის ოხერი სარგებელი?... ან ეგება გგონიათ, რომ გეხუმრებით?

ფერაძ. მოწყალეო ბატონო, გთხოვთ, ნუ ჰყვირით! ბოსელში კი ნუ გგონიათ თქვენი თავი...

გვრიტ. მე ბოსელში არ გეკითხებით, თქენ ის მიბრძანეთ: უნდა შევიტანო, თუ არა, ხვალ ფული?

ფერაძ. თქვენ არ გცოდნიათ მართებულათ ქალთან თავის დაჭერა.

გვრიტ. ვინ მოგახსენათ? დიალაც ვიცი.

ფერაძ. არა, არ იცით! ბრიყვი და უზრდელი ბრძანებულხართ!

გვრიტ. დიალ, ძალიან დიდი საქმე მომხდარა, თქვენმა მზემ!... მაშ როგორ მიბრძანებთ თქვენთან ლაპარაკს? ფრანციცულს ხომ არ ინებებთ? (გულისობს და ენას უჭტევს) მადამ, ჟევუ არი... რა ბედნიერი ვარ... რა ბედნიერი ვარ, რომ ფულს არ მაძლევთ.. ახ, პარდონ, რომ შეგაწუხეთ!... რა მშვენიერი დარია დღეს!... ეს შავებიც რა ნაირათ გიხდებათ, რა ნაირათ გშვენის თქვენ სახეს! (ასრიალებს ფეხებს)

ფერაძ. ვერაფერი ჭკუა და ზრდილობაა, თქვენმა მზემ!

გვრიტ. (ჯავრობს) ვერაფერი ჭკუა და ზრდილობაა! მე არ მცოდნია ქალთან ლაპარაკი და თავის დაჭერა! რამდენი მე ჩემს სიცოცხლეში ქალი მენახოს, იმდენი სიცოცხლე ჰაატას. სამჯერ დაჭრილი ვარ ქალების წყალობით... ოორმეტი ქალი მიმიტოვებია, ცხრას მიუტოვებივარ და ახლა ღვთის წყალობა მოგეცათ, მე მათი ზნე და მათთან თავის დაჭერა ვიცოდე!... დიალ! იყო დრო, როცა მეც ვისულელებდი თავს, პირიდან თაფლი გადმოდიოდა. ვინაზებოდი, ფიანდაზათ ვეგებოდი ქვეშ, ვიგრიხებოდი წნელივით, ვოხრავდი, ვკვნესოდი, ვდნებოდი... მიყვარდა გატაცებით, გაგიჟებით, ათას კილოზე და ჰანგზე... დასწყეველოს ღმერთმა ეშმაკი, კაჭკაჭივით ამოჩემებული მქონდა, რომ ქალს უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაცვალო მეთქი, ზღვა და ხმელეთი გრძნობას გადავალიე ჩემი ნახევარი ქონება, მაგრამ ახლა კი მორჩა და გათავდა!... ახლა ველარაფერ შემაცდენს!... კმარა! შავი თვალები, გიშრის თვალები, მარჯნის ტუჩები, ვარდის ლოყები. მთვარე, ეშხი, ბულბული, ყველა ეს ჩირადაც ალარ მიღირს ახლა, ჩემო ბატონო!... ვინც აქ ბძანდება, იმაზედ არ მოგახსენებთ, მაგრამ ყველა ქალი, დიდიან მოკიდებული პაწაწინამდისინ, პრანჭიაა, გრეხია, მეპორე, შურიანი, ისეთი რომ არაფერი დაეჯერება, კატასავით გულის თქმის ამყოლი, კურდღელივით მხდალი, შეუბრალებელი, მოფიქრებას ხომ ნულარ იკითხავთ... და რაც შეეხება აი ამას (დაიკრავს შუბლზე ხელს) ნურას უკაცრავად ვიქნები, გაბზარულს გატეხილი სჯობიაო!... რა გინდ ბრძენიც იყოს ლეჩაქიანი ფილოსოფოსი, მწყერი რა არის, მწყერიც კი დასძლევს და აჯობებს... შეხედავ ზოგიერთ მშვენიერ ქმნილებას: კოკობი, გაუფურჩქნელი ვარდიაო, გეგონება ციდან ჩამოსული ანგელოზი, ლეჩაქივით, ეთერივით თხელი და ნაზი, უკვდავების წყაროო და შარბათი, მაგრამ, შუნ მტერს, როგორც კი ერთს ჩახედავ სულში, იმ წამსვე გამოჩნდება პირდაღებული ვეშაპი!... (სკამს ხელს სტატებს, გაქვს ჭრიჭინი და იმტვრევა) ყველაზე უფრო ასაშფოთებელი ისაა, რომ რაღაც მიზეზით, ამ ვეშაპს ნაზი გრძნობა და ტრფიალება თავის პირმშო შვილად მიაჩნია... ამის გუნებაში ნაზი გრძნობა და ტრფიალება მარტო იმისი საკუთრებაა, იმისი უცილობელი სამკვიდროო!... მამი ჩემის სული არ წამიწყდება, ერთმაც არ იცოდეს, რა არის სიყვარული, აი ამ ლურსმანზედ ჩამომკიდეთ ფეხით, თუ ქალს გოშია და ფინია ძაღლის სიყვარული გაეგებოდეს! იმას სიყვარული მარტო კვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესა და ცხვირ-ჩამოშვებული ქვითინი ჰგონია. სადაც კაცი არ ერიდება ტანჯვას და თავგანწირვას, იქ ქალი ცარიელი კუდის ქნევით აცხადებს თავის სიყვარულს და სცდილობს, რაც ძალა და ღონე აქვს, უფრო მაგრა ჩაგჭიდოს ცხვირში ხელი. თქვენ, ჩემო ბატონო, ღმერთს ქალად უბედურს დღეს გაუჩენიხართ, მაშასადამე, კარკად მოგეხსენებათ მათის ბუნების ამბავი, და აბა მიბრძანეთ სულ ქვეშ, გინახავთ როდისმე ქალი, რომ გამტანი ყოფილიყოს?... არ გენახვებათ! გამტანი და ერთგული მარტო ბებერი და მახინჯია... რქიან კატასა და თეთრ შაშვს უფრო ადვილად შეხვდებით, ვინემ ერთგულს ქალს!...

ფერაძ. მაშ ვინაა თქვენს ჭკუაში უფრო მტკიცე და ერთგული სიყვარულის დროს? იქნება კაცი გგონიათ?!

გვრიტ. დიაღ, კაცი!

ფერაძ. (გულცივად იცინის) კაცია მტკიცე და ერთგული სიყვარულში? ეგეც ალარ მცოდნია, ეგეც შენი ახალი ამბავი! (მხურვალედ) ვინ მოგახსენათ, რა სიმართლე მიგიძღვისთ, მაგას რომ ბრძანებთ?... კაცია მტკიცე და ერთგული! რახან მაგაზედ მიდგა საქმე, უნდა გითხრათ, რომ ვისაც კი ვიცნობდი და ვიცნობ კაცებში ყველაზედ უკეთესი ჩემი ქმარი გახლდათ... მე ის გატაცებით მიყვარდა, ისე მიყვარდა როგორც შეუძლიან შეიყვაროს მხოლოდ ახალგაზდა ქალმა, მას ვანაცვალე ჩემი ყმაწვილ-ქალობა, ბედნიერება, სიცოცხლე, ჩემი ქონება, მისით მედგა სული, მაზედ ვლოცულობდი ხატივით. მერე რა? ეს ყველაზედ უკეთესი კაცი თურმე უსინიდისოთ მატყუებდა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე!... რომ მოკვდა, მერე, მთელი ერთი ყუთი ვიშოვე საარშიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილებით სავსე იმის ოთახში... და სანამ ცოცხალი იყო .. მოსაგონათაც კი შესაზარია! მთელის კვირაობით მტოვებდა სახლში მარტოკას... ჩემ თვალ წინ სხვებს დასდევდა და მღალატობდა... აბნევდა ჩემს ფულებს... ასეთი იყო და მე მაინც მიყვარდა, იმისი ერთგული ვიყავი... ესეც ირ ვაკმარე, ის მოკვდა, მაგრამ მე ისევ იმისი ერთგული ვარ... მე საუკუნოდ დავიმარხე ოთხ კედელშუა და სამარემდის არ მოვიშორებ ამ შავებს...

გვრიტ. (ზიზღით იცინის) შავები!... ნეტა ვინ გგონივართ? თითქოს არ ვიცოდე რისთვის ჩაგიცვამთ შავები და შეკეტილხართ ოთხ-კედელ შუა!... მაგით თავი გინდათ მოაწონოთ ქვეყანას, რალა!... ვითომ და, შემხედეთ, რა უცხო და საკურველი რამა ვარო... ჩაივლის ვინმე ულვაშ-ჩაგრეხილი აფიცერი, ან რომელიმე კუდა პოეტი, შეხედავს თქვენი სასახლის ფანჯარას და იფიქრებს: „აი აქ სდგას ის ქალთა შორის საკურველება თამარი, რომელსაც ქრმის სიყვარულს გადაჰყვა და ცოცხლად დაიმარხა თავი ოთხ-კედელ შუა...“ ვიცი, ბატონო, მაგისთანა ქამანდები.

ფერაძ. (ტეტხლ-მოდებულივით) რაო, როგორ მიბედავთ მაგის თქმასა!..

გვრიტ. ოთხ-კედელ შუა დაგიმარხავთ თავი, მაგრამ წარბების გუნდა-ლახოსტაკით შელება და პირზე ფერ-უმარილის წასმა მაინც არ დაგვიწყებიათ, ქალბატონო!

ფერაძ. როგორ მიბედავთ მეთქი მაგგვარად ლაპარაკს?

გვრიტ. ნუ ჰყვირით, თუ ღმერთი გწამთ, თქვენი მოურავი კი ნუ გგონიერთ... ჩემი ნება და ქეიფია, რომ ყოველს საგანს მისივე ნამდვილი სახელი ვუწოდო.

ქალი როდი გახლავარ და ჩვეულობად მაქვს, რომ პირ-დაპირ გამოვსთქვა ჩემი აზრი. მაშ ნურას, ინებებთ და ნულარ ჰყვირით...

ფერრან. მე კი არ ვყვირი, თქვენ, თქვენ ჰყვირით! ალარ მომასვენებთ, ბატონო, და ალარ დამანებებთ თავსა!

გვრიტ. მომეცით ჩემი ფული და წავალ.

ფერრან. ხომ გითხარით, ვერ მოგცემთ მეთქი.

გვრიტ. მომცემთ, თუ კაცი ვარ.

ფერრან. აბა თუ ასეა, თქვენ ჟინზე ერთს ფარასაც ველარ მიიღებთ. გთხოვთ, დამანებოთ თავი, მოსვენება მეჭირება.

გვრიტ. მე არც თქვენი ქმარი გახლავართ და არც თქვენი საქრმო და ამიტომ თქვენის ჟინისა და უქეიფო გუნების არაფერი მეცოდინება. (ჯდება)

ფერრან. (გაცეცხლებული ქშინავს) ჯდებით?!

გვრიტ. დიალ ვჯდები.

ფერრან. გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ.

გვრიტ. მომეცით ფული. (იქით) ოჰ, რა გულზე ვარ! რა გულზე ვარ!...

ფერრან. თავაგდებულ კაცთან ლაპარაკის რა მოგახსენოთ!... ერთხელ კიდევ გთხოვთ, რომ მიბრძანდეთ აქედამ.. (სიჩუმეა ტოტა ხანს) არ გახლავთ, არა!

გვრიტ. არა?

ფერრან. არა მეთქი.

გვრიტ. არა?!!

ფერრან. მაშ კარგი! (რეკავს ზარს შემოდის ზაზა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეშვიდე

იგინიგე და ზაზა

ფერაძ. უთხარი, რომ გაიყვანონ ეს ვაჟბატონი!...

ზაზა (გვრიტიშვილს) ინებეთ, ბატონო, და გაბრძანდით... ნულარ...

გვრიტ. (შეჭეიდლებს) რაო?!... ვინაა ჩემი გამყვანი?! ვის უბედავ ლაპარაკს!... არავინ მომეკაროს, თორემ სულ გუფთასავით ავკაფავ, მამი ჩემი სული ნუ წამიწყდება! (ხელს სტატებს ზაზას და ტახტზე დააგდებს)

ზაზა მოვკვდი, შენი ჭირიმე, ვაიმე! წმინდა გიორგი!... ქალწულო მარიამ!... მოვკვდი, აღარა ვარ!...

ფერაძ. ზურაბი სადღაა... (ჭვეირის) ზურაბ! სოფიო! მაკრინე (ჭრეკავს ზარს)

ზაზა ვაი დედავ!... ყველა ტყეში წავიდა სოკოს საკრეფათ...

ფერაძ. გაბრძანდით აქედამ, მოგვშორდით.

გვრიტ. რომ მაგდებთ, თქვენი ყმა ხომ არა ვარ, ზრდილობაც კარგი ქონებაა!

ფერაძ. (გაანჩხლებული აბრაგუნებს ფეხებს) თავს იგდებთ! უზრდელიცა ხართ და ბრიყვიც!... ტყიდან გამოვარდნილი დათვი ყოფილხართ... ვეშაპი, დათვი!

გვრიტ. რაო?! რა სთქვით?!

ფერაძ. ისა ვსთქვი, რომ თავს იგდებთ!... დათვი ყოფილხართ, მეთქი, დათვი!...

გვრ. როგორ, თუ დათვი და ვეშაპი! ვინ მოგცათ ჩემი გალანძღვის უფლება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერაძ. დიაღ, გლანძლავთ... მერე რაო? მეშინიან თქვენი, თუ როგორ გგონიათ?

გვრიტ. თქვენ კი როგორ გგონიათ: რა კი ქალი ვბრძანდებიო და წარბებს გუნდა-ლახოსტაკით ვიღებავო, მაშ სხვისი გალანძღვა უნდა შემრჩესო? არა? მამა ჩემის სული არ წამიწყდება, ჩემი გალანძღვა მე არავის შევარჩინო!... ქალიო!... რას მიქვიან ქალი!... იარაღმა გაგვასწოროს, იარაღმა!...

ზაზა წმინდაო გიორგი... ქალწულო მარიამ...

გვრიტ. ხმალ და ხმალ გამობრძანდით, ბატონო, ხმალ და ხმალ...

ფერაძ. ვითომ რაო: ღონიერი მუშტი მაქვსო და კამეჩივით ხმა, მაგით გგონიათ შემაშინოთ? ჰმ? თქვე გაუთლელო მორგვო, თქვენა!...

გვრიტ. ხმალ და ხმალ გამობრძანდით მეთქი, ხმალ და ხმალ!... ქალიო და სუსტი არსება!... მე არავის შევარჩენ ჩემ გალანძღვას!

ფერაძ. (სტდიდობს აჯობოს ეკირიდში) დათვი ხართ! დათვი! დათვი!

გვრიტ. ახლა ხომ ყველას ის აკერია პირზედ, ქალი და კაცი ერთიაო, სწორი ვართო! დიაღაც სწორი ვართ!... ქალია და იმოტომ უნდა შევარჩინო გალანძღვა? თქვენც არ მომიკვდეთ!... თუ თანა-სწორობაა, იყოს აბა თანასწორობა!... ხმალი მეთქი!...

ფერაძ. ხმალში მიწვევთ საბრძოლათ?... ბატონი ბრძანდებით!

გვრიტ. ახლავე!

ფერაძ. ძალიან კარგი! ახლავე გამოვიტან ჩემი ქმრის ხმალს! (მირბის საჩქაროთ და მობრუნდება) რა სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნებით გაგიპობთ შუაზე მაგ უტვინო შუბლს! ქალიც არა ვყოფილვარ, თუ არ აგისრულებთ! (გადის)

გვრიტ. წიწილასავით წაგაგდებინებ თავს!... გავაქროობ—შენი მტერი გაჭრალა!... მე არ გამაჩნია სუსტი და მზეთ უნახავი; ბავშვი ხომ არა ვარ, რომ მაგით გული ამიჩვილდეს.

გამოსვლა მერვე

გვრიტიშვილი და ზაზა

ზაზა (ვედრებით) ბატონო, შენი ჭირიმე... (მუხლებზედ დაუჩოქებს) შენი სახელის, შენი მუხლის ქირიმე!... გვიყავი სიკეთე, მოგვშორდი აქედამ... ისეც შიშით დაგვხოცე და ახლა კიდევ ხლმით გინდა ამოგვწყიტო...

გვრიტ. (ეურს არ უგდებს) თუ გული გერჩის, ქალბატონო, და თანასწორიც ვართ, ხმალში გამოგბრძანდით, დიალ, ხმალში! აქ ორნივე ერთნი ვართ, კაცი იყოს, გინდ ქალი... წავაგდებინებ თავს მე ნუ მოვკვდე... მაგრამ რა ქალი ყოფილა, თქვენი ჭირიმე!.. (აჯავრებს) „ქალიც არ ვყოფილვარ, შუაზე გაგიპობ მაგ უტვინო შუბლსო“! ძალიანია, თქვენ ნუ მომიკვდებით, ჟინჟღილივით გაწითლდა, თვალები უბრწყინავს—ხმალში გამოვითხოვე და გამოვიდა!... ჩემს მზეს ვფიცავ პირველად ვხედავ მაგისთანა ქალს!...

ზაზა (ხვეწნით) ბატონო, შენი ჭირიმე, მოგვშორდი!

გვრიტ. მომწონს სწორედ ის ქალი!... დიალ, რაღა ბევრი გავაგრძელო, მომწონს... მართალია, ფერიც ბევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი აცხია და უმარილიც, არც გუნდა-ლახოსტაკი აკლია, მაგრამ თქვენ ნუ მოუკვდეთ პაატას, მაინც მოსაწონია!... გულმაც კი გადამიარა!.. გასაოცარი ქალია...

გამოსვლა მეცხრე

იგინივე და ფერაძისა

ფერაძ. (შემოდის და შემოაქვს ორი ხმალი) ხმალი, და ხმალიც აქ გახლავთ!.. მაგრამ სინამ გავიდოდეთ საბრძოლელზე, ეროი გაისარჯეთ და მაჩვენეთ, თუ როგორ უნდა ხმლის ხმარება... ჩემს დღეში არ მჭერია ხმალი ხელში...

ზაზა. წმინდაო, გიორგი, შენ დამიფარე! წავიდე ბიჭებს მაინც დაუძახო! რა ცოდვა დაგვატყდა თავზედ, ეს ვაი უშველებელი. (გადის)

გვრიტ. (შინჯავს ხმალს) საუცხოვოა! მშვენიერი ნაკეთობა გახლავსთ: ხცარასნული ფოლადია. ერთ ჯარად ელირებოდა წინად! ხმალი ასე უნდა გეჭიროთ ხელში. (უჩვენებს) რა თვალებია, გამჩენო, რა თვალები!.. დაგწვავს, დაგხრუკავს! ..

ფერაძ. ასე?

გვრიტ. დიაღ, ასე... აი ამ გვარად თუ მოიქნევთ, ძალა ექნება, რაც უფრო ლონიერათ მოიქნევთ, უკეთესია... ნუ აჩქარდებით: ნუ ცხარობთ... მაგრა დაიჭირეთ და მარჯვეთ მოიქნიეთ, ხელიარ აგიკანკალდეთ.

ფერაძ. კარგი... აქ ოთახში არ ვარგა და არ მეხერხება ხმლის ტრიალი... ბაღში წავიდეთ!...

გვრიტ. გიახლებით, მაგრამ წინ და წინვე უნდა გამოგიცხადოთ, რომ თქვენზე ხმალს არ ეიხმარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერაძ. ეგ კიდევ რალაა?! ვითომ და რატომ?!

გვრიტ. იმიტომ რომ... იმიტომ... ის მე ვიცი, რატომაც...

ფერაძ. შეგეშინდათ განა?! ააა!... არ იქნება! ეხლა ველარ წამიხვალთ!... წამობრძანდით, მე თქვენ გეუბნებით, ველარ მოვისვენებ, სანამ შუაზე არ გაგიპობთ შუბლს, რომელიც ასე მძულს!.. შეგეშინდათ?!

გვრიტ. დიაღ, შემეშინდა.

ფერაძ. ტყუილს ამბობთ!... რატომ არ გამოდიხართ ხმალში?

გვრიტ. იმიტომ, რომ.. იმიტომ, რომ მომწონხართ.

ფერაძ. (გულისგულ იცინის) მოვსწონვარ!... ჰბედავს კიდეც ამის თქმას, რომ მოვსწონვარ!... (ხელით უჩვენებს კარებს) მიბრძანდით... (გვრიტიშეიღი ხმალ ამოდებული აიდებს ქურდს და მიდის; კარებთან ჩერდება, ნახევარ წამს; ორივენი ჩუმათ შეჰყურებენ ერთმანერთს)

გვრიტ. (გაუბედავათ წამოვა ფერაძისაკენ) გამიგონეთ... თქვენ კიდევ სწყრებით; მეც საშინლად გაცეცხლებული ვარ... მაგრამ საქმე.. რა ჰქვია... როგორც მოგეხსენებათ, როგორ... თუ, დალახვროს ღმერთმა ეშმაკი!!.. რა ჩემი ბრალია, თუ კი მომწონხარ!.. (სკამს სტატებს ხელს. სკამს ჯრიალი გააქვს და იმტვრევა) ეს რა ნაირი ავეჯი გქონიათ თქვე დალოცვილო, იმტვრევა ყინულსავით! მომწონხართ-მეთქი, მოგახსენებთ! თითქმის შე... შეყვარებულიც კი ვარ!

ფერაძ. მომშორდით! მძულხართ!

გვირტ. ღმერთო! რა ქალია! არ მოვსწრებივარ ამის მგზავს! დავიღუპე, ისე თქვენი მტერი დაღუპულა!.. თაგვივით გავები მახეში!

ფერაძ. მომშორდით, თორემ ხმალს დაგკრავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვრიტ. დამკარით, ბატონო! ვერ წარმოიდგენთ რა ბედნიერებაა იმისთვის, ვისაც მოჰკლავს და დაადნობს ეგ მშვენიერი თვალები, ელვა და ეშხი, ვისაც გაუპობს ხანჯლით თავს ეგ პაწია და ფაფუკი ხელი... ვგიჟდები.. მეტი აღარა ვარ... მოიფიქრეთ ეხლავე და გადაწყვიტეთ, რადგანაც აქედან, თუ გაველი, ველარას ოდეს ველარა ვნახავთ ერთმანეთს... გადაწყვიტეთ... აზნაური გახლაიართ, რიგიანი კაცი, ორას თუმნამდისინ შემოსავალი მაქვს წელიწადში... ღმერთმა მტერიც აშოროს ჩემს ხმალს და დამბაჩას, მოუკლავს არ გადავარჩენ... მიყვარს კარგი ცხენი და კაი მწევარ-მეძებარი... მიკადრებთ, თუ არა?

ფერაძ. (გულ-აშფოთებით აქნევს მაღლა ჭაერში ხმალს) ხმალმა გაგვასწოროს, ხმალმა!

გვრიტ. სწორედ ჭკვიდან შეეიშალე, აღარაფერი მესმის! (ჭუკირის) ეი, ბიჭო წყალი!

ფერაძ. (ჭუკირის) ხმალში გამობრძანდით, ხმალში!

გვრიტ. ჭკუიდან შეეიშალე... ყმაწვილივით გამიტაცა სიყვარულმა! თორმეტი ქალი მიმიტოვებია, ცხრას მიუტოვებივარ, მაგრამ თქვენსავით არ მყვარებია... ისევ შემიპყრო ძველმა სენმა, ისევ თაფლი გადმომდის პირიდან... სულელივით დაჩოქილი ვარ თქვენს წინაშე და შეგავედრებთ ჩემს გულსა და ბედს... სირცხვილია, თავს ლაფ-დასხმაა! ჩემმა მტერმა გამოსცადოს ის მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიაც ახლა ვიმყოფები! ხუოი წელიწადია აღარავინ მყვარებია, აღთქმა დავდევი: აღარავინ შევიყვარო მეთქი და აი! გაეები მახეში პატარა ბღარტივით!.. გთხოვთ, მიქრმოთ მეთქი!... გინდათ თუ არა?... არ გინდათ?... არ არის საჭირო!.. (წამოდგება და სჩქარობთ მიდის კარებისკენ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერ. მოიცადეთ...

გვრ. (შეჩერდება) რას იტყვით?

ფერ. არაფერს, მიბრძანდით... მაგრამ არა, მომითმინეთ... წადით, წადით... მძულხართ... ნუ.. ნუ წახვალთ!.,. ახ, რომ იცოდეთ რა ცუდ გუნებაზედა ვარ!.. (ხმალს იატაკზე დაგდებს) თითები დამისივდა ამ საძაგლობისაგან... (გაჯავრებული ცხვირსახოცს სწმუნნის) რას სდგეხართ? გამეცალეთ!...

გვრ. მშვიდობით (მიდის)

ფერ. წადით, წადით!.. (უკვირის) სადღა მიდიხართ? მოიცადეთ... აჰ, რა ცუდ გუნებაზედა ვარ!... არ მომეკაროთ, არ მომეკაროთ!...

გვრ. (მიუახლოვდება) რა გაჯავრებული ვარ ჩემს თავზედ!... ბავშვივით გამიტაცა სიყვარილმა, დაჩოქილი ვიყავი, ერუანტელი მივლის ტანში... (ტლანქად) მიყვარხართ! ნეტა რა საჭირო იყო, რომ შემიყვარდით! ხვალ სარგებელი უნდა შევიტანო, სხვა ათასი საქმე მაქვს და აქ კიდევ თქვენ გამოჩნდით... (მოხვევს წელზე ხელს) არასოდეს არ ვაპატიებ ამას ჩემს თავს...

ფერ. გამეცალეთ აქედან!.. ხელი იქით! მძულხართ! ხმალში გამოდით!.. (ხანგრძლივი კოცნა)

გამოსვლა მეათე

იგინივე, ზაზა და რამოდენიმე გოგო ბიჭი; გოგობიჭების ზოგს თოფი უჭირავს, ზოგს კეტი და ზოგს ნაჯახი.

ზაზა. (რა დაინახავს ქალბატონისა და გვრიტიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტნას) წმიდაო გიორგი? ქალწულო მარიამ!... (ტოტა ხანს სიჩუმეა)

ფერ. (მორცხვად დაუშვებს ძირს თვალებს) ზაზა, უთხარი, რომ დღეს სულ ნუ მისცემენ ლურჯას ქერს...

ფ ა რ დ ა

სახელსაწოდ:

ორი ხმალი, ფოტოგრაფიული სურათი; ზარა; ორი ჭიქა—ერთი ღვინით, მეორე წყლით; მათრახი; კეტი; დანჯღრეული სკამი; თოფი; ნაჯახი.